დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 20 ნოემბრის N10 სხდომაზე,
ცვლილებები შეტანილია.წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 27 ივნისის №3 სხდომაზე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების წესი, რომელიც სამეცნიერო, კვლევით ან/და აკადემიურ საქმიანობას დროებით ახორციელებს საქართველოს ფარგლებს გარეთ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, რომელიც შესაბამის ფაკულტეტთან შეთანხმებით სამეცნიერო, კვლევით ან/და აკადემიურ საქმიანობას დროებით ახორციელებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, მისი არყოფნის პერიოდისათვის შესაძლებელია შეუნარჩუნდეს ხელშეკრულებით დადგენილი პირობის მიხედვით გათვალისწინებული ანაზღაურების არაუმეტეს 40%–სა. ამისათვის აკადემიურმა პერსონალმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი შუამდგომლობა, სამეცნიერო, კვლევითი ან/და აკადემიური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მიწვევის ვადების შესახებ სრული ინფორმაცია.

2. ამ წესის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ხელშეკრულებით დადგენილი პირობის მიხედვით გათვალისწინებული ანაზღაურების არაუმეტეს 40%–ს შენარჩუნების საკითხსა და ოდენობას დეკანის წარდგინებით განიხილავს აკადემიურ საბჭო და გადაწყვეტილების შესაბამისად გამოიცემა რექტორის ბრძანება.

3. ამ წესის მიხედვით იმ პირებს, რომელთაც ნაწილობრივ შეუნარჩუნდათ სახელფასო სარგო, საქართველოში დაბრუნების შემდგომ აღუდგებათ ის ხელფასის ოდენობა რაც უცხოეთში გამგზავრებამდე ერიცხებოდათ;

4. იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური პერსონალი დროებით ბრუნდება საქართველოში მათ შორის საგამოცდო ან/და არდადეგების პერიოდში, მას ეძლევა მხოლოდ სახელფასო სარგოდან უცხოეთში გამგზავრებისათვის შენარჩუნებული ოდენობა.

5. საგამოცდო და/ან არდადეგების პერიოდში წასვლის შემთხვევაში, როდესაც სრული დაბრუნება ხდება მომდევნო სემესტრის დაწყებამდე, აკადემიურ პერსონალს უნარჩუნდება წასვლამდე არსებული ხელფასი.

6. ამ წესის მიხედვით აკადემიური პერსონალი, რომელსაც შეუნარჩუნდა სახელფასო სარგო ვალდებულია საქართველოში დაბრუნების შემდგომ ფაკულტეტს წარუდგინოს ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ იმ ფარგლებში რა ფარგლებშიც მოხდა უნივერსიტეტის მხრიდან ხელფასის ანაზღაურება.

7. ეს წესი არ ვრცელდება შრომითი ხელშეკრულებით შეთანხმებულ ამ წესისგან განსხვავებულ პირობებზე.